ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF TERJOLA

განკარგულება:**გ-29.29222505**
თარიღი:**07/09/2022**

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტექნიკური წყლის მიწოდების საფასურის (ტარიფის) დადგენის, საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლების წყალმომარაგების (ტექნიკური წყალით მომარაგების) რეგულირების წესის, ტექნიკური წყლის მიწოდების ხელშეკრულების ტიპიური ფორმის, ტექნიკური წყალის მომარაგების ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასურის, მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობის, აღრიცხვის კვანძის მოწყობისა და შეჭრის საფასურის და აღრიცხვის კვანძის დალუქვისა და მოხსნის აქტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე მუხლის საფუძველზე საკრებულომ **დაადგინა:**

მუხლი 1.

1. დადგინდეს წყლის მიწოდების ტარიფი:

ა) გამრიცხველიანებული საყოფაცხოვრებო მომხმარებლისთვის 0.40 ლარით, ხოლო არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის - 1,50 ლარი 1 კბ.მ. წყალზე.

ბ) გაუმრიცხველიანებული საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის, სულადობის მიხედვით - ერთ სულ მოსახლეზე 1,50 ლარის ოდენობით.

მუხლი 2.

1. დადგინდეს, წყალმომარაგების ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასური, რომელიც იანგარიშება, გამანაწილებელი ქსელის მაგისტრალიდან, ახალი მომხმარებლის აღრიცხვის კვანძის მოწყობის პუნქტამდე, მილის დიამეტრისა და მანძილის გათვალისწინებით და შეადგენს:

წყლის მილის დიამეტრი- მმ	**წყლის წარმადობა, მ^3 დღე-ღამეში**	**მიერთების მაქსიმალური პერიოდი, სამუშაო დღე**	**0 დან 100 მეტრის რადიუსში**	**100 დან 200 მეტრის რადიუსში**
			მიერთების საფასური დღგ-ის ჩათვლით, ლარში	**მიერთების საფასური დღგ-ის ჩათვლით, ლარში**
20	16-35	40	400	*500*

2. დადგინდეს მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობის, აღრიცხვის კვანძის მოწყობისა და შეჭრის საფასური:

წყლის მრიცხველის მილის დიამეტრი, მმ	აღრიცხვის კვანძის მოწყობისა და შეჭრის ვადა (სამუშაო დღე)	მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობის აღრიცხვის კვანძის მოწყობისა და შეჭრის საფასური (ლარი, დღგ-ის ჩათვლით)
20	15	100

მუხლი 3.

1. დამტკიცდეს:

ა) ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლების წყალმომარაგების რეგულირების წესი“ დანართი№1-ის მიხედვით.

ბ) წყლის მიწოდების ხელშერულების ტიპიური ფორმა, როგორც არასაყოფაცხოვრებო, ასევე საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის, დანართი №2-ის მიხედვით.

გ) აღრიცხვის კვანძის დალუქვისა და მოხსნის აქტი დანართი №3 -ის მიხედვით.

მუხლი 4.

მიმწოდებელმა ა(ა)იპ თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის მუნიციპალურმა სამსახურმა განახორციელოს წყლის მიწოდების მომსახურეობის აღრიცხვა, მომხმარებლების მიერ მიწოდების ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან. ხოლო წყლის საფასურის დარიცხვა განკარგულების 1-ლი მუხლით დამტკიცებული წესითა და პირობებით, განსაზღვრული ტარიფების შესაბამისად.

მუხლი 5. მიმწოდებელი ა(ა) იპ თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის მუნიციპალური სამსახური ვალდებულია იხელმძღვანელოს ამ განკარგულებით შემოღებული წესებითა და წყალმომარაგების სფეროში მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე სხვა ნორმატიული აქტებით.

მუხლი 6. განკარგულების მოქმედება გავრცელდეს 2022 წლის 03 აგვისტოდან წაროშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

მუხლი 7. განკარგულება შესასრულებლად გადაეგზავნოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას და ა(ა) იპ თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის მუნიციპალურ სამსახურს;

მუხლი 8. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, დაინტერესებული მხარის მიერ, მისი გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 9.განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

გიორგი ბარათაშვილი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი